რადიკალიზაციისა და სიძულვილის მანიფესტირების პრევენცია ადგილობრივ დონეზე

სახელმძღვანელო მითითებები ადგილობრივი და რეგიონული ხელისუფლების ორგანოებისათვის

ტექსტი მიიღო კონგრესმა
2015 წლის 20 ოქტომბერს
რადიკალიზაციასთან ბრძოლის
სტრატეგიის ფარგლებში

The Congress
Le Congrès

COUNCIL OF EUROPE
CONSEIL DE L'EUROPE

რადიკალიზაციისა და სიძულვილის მანიფესტირების პრევენცია ადგილობრივ დონეზე

სახელმძღვანელო მითითებები ადგილობრივი და რეგიონული ხელისუფლების ორგანოებისათვის

ტექსტი მიიღო კონგრესმა 2015 წლის 20 ოქტომბერს
რადიკალიზაციასთან ბრძოლის სტრატეგიის ფარგლებში

ტექსტი: ევროპის საბჭოს ადგილობრივი და რეგიონული
ხელისუფლების ორგანოების კონგრესი
ყდა: OPTEMIS
გამოქვეყნდა 2016 წლის მარტში

სარჩევი

I. **რეზოლუცია 384 (2015)** 5
II. **განმარტებითი მემორანდუმი**..... 10
1. შესავალი 10
2. პასუხი რადიკალიზაციას: სამი დამატებითი მიდგომა 14
3. უშიშროება და უსაფრთხოება როგორც ფუნდამენტური უფლებები 18
4. უწყებათაშორისი სტრატეგიები: პარტნიორობა ამ სამუშაოს შესასრულებლად 20
5. ქმედებები სათავეში: რისი გაკეთება შეუძლიათ ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოებს?..... 22
6. დასკვნები 27

I. რეზოლუცია 384 (2015)[1]

1. ტერორისტთა თავდასხმებისას პარიზსა და კოპენჰაგენში, რომელშიც შეიარაღებული ჯიჰადისტები მონაწილეობდნენ, 14 ადამიანი დაიღუპა და 10 დაიჭრა. ეს ფაქტი თვალსაჩინოს ხდის იმის საჭიროებას, რომ ქალაქებმა მეტი გაკეთონ ექსტრემიზმთან ქმედითი ბრძოლისთვის. ამ თავდასხმებმა აშკარად მიგვანიშნა სარისკო საკითხებზე: მზარდი რადიკალიზაცია ქალაქებში, რასაც ძალადობრივ ექსტრემიზმსა და კონფესიათაშორის მტრობამდე მივყავართ, საზოგადოებაში გაზრდილი პოლარიზაციის რისკი და ზოგიერთი თემის სტიგმატიზაცია, სიძულვილის ენა სოციალურ მედიაში, ასევე ცენზურისა და თვითცენზურის რისკი - ეს ის არსებული საფრთხეებია, რაც ქალაქების წინაშე დგას.

2. კონგრესმა 2015 წლის მარტის სესიაზე მიიღო რეზოლუცია 381(2015), რომლითაც აიღო ვალდებულება, რომ განაახლებს სათანადო ტექსტებს, რომლებიც ხელს უწყობს მოქალაქეთა თანამონაწილეობას, მრავალფეროვან გარემოში ერთობლივ ცხოვრებას, სოციალურ ჩართულობას და ინტეგრაციას, კულტურათაშორის და რელიგიათაშორის დიალოგს, ადგილობრივი და რეგიონული ხელისუფლების ორგანოებისათვის სახელმძღვანელო მითითებების შემუშავებას ადგილობრივ დონეზე რადიკალიზაციისა და სიძულვილის გამოვლინების პრევენციის მიზნით, ასევე პედაგოგიური გზამკვლევის შექმნას, რომელსაც ადგილობრივად არჩეული წარმომადგენლები გამოიყენებენ

1 განიხილა და მიიღო კონგრესმა 2015 წლის 20 ოქტომბერს, 1-ლ მოსმენაზე (იხ. დოკუმენტი CG/2015(29)5FINAL, განმარტებითი მემორანდუმი), მომხსენებელი: ლინ ვერბეკი (Leen VERBEEK), ნიდერლანდების სამეფო (R, SOC).

კულტურათაშორისი და რელიგიათაშორისი აქტივობების ორგანიზებისას.

3. ცალკეული ინდივიდები შეიძლება რადიკალურები გახდნენ სხვადასხვა მიზეზის გამო, როგორიცაა საზოგადოებაში ინტეგრაციის ნაკლებობა, პოლიტიკური გარიყულობა ან ცალკეული ექსტრემისტების, მათი ჯგუფებისა თუ ორგანიზაციების გავლენის ქვეშ მოქცევა. ადგილობრივი, კულტურული და სოციალური კონტექსტი გავლენას ახდენს რადიკალიზაციის პროცესზე, რაც აისახება საჯარო ხელისუფლების ორგანოების რეაგირებაზეც. ადგილობრივი და რეგიონული ხელისუფლების ორგანოების მოქმედების სფეროსა და უფლებამოსილებებს ჩახშობასა და აღკვეთაზე მეტად შეესაბამება პრევენციული ზომების მიღება და დერადიკალიზაცია (მაგალითად, იმ ინდივიდთა რეინტეგრაციისაკენ მიმართული ქმედებები, რომლებიც გაერიყნენ საზოგადოებას).

4. რადიკალიზაციასთან ბრძოლა მოითხოვს ძალიან გააზრებული პრევენციული ზომების გატარებას. გრძელვადიანი გათვლით, პრევენცია უფრო რაციონალური და რენტაბელურია, ვიდრე სიმპტომებსა და გაღვივებულ კრიზისთან ბრძოლა. ამასთან, მოქმედებათა ეს არეალი უპირატესად ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოებისათვისაა განკუთვნილი, სადაც ისინი მეტად ქმედითები შეიძლება იყვნენ და სადაც მათი უფლებამოსილება და მანდატი უფრო რელევანტურია. ამავე დროს, ამ მნიშვნელოვანი როლის გააზრებას მოჰყვება ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოების გაძლიერება, რაც მეტად ხელმისაწვდომს გახდის ამ გამოწვევებისა და შესაძლებლობების უკეთ განჭვრეტას.

5. ადამიანის უფლებათა დაცვისათვის კრიტიკული მნიშვნელობა აქვს უშიშროებისა და მოქალაქეთა

უსაფრთხოების საკითხისადმი დაბალანსებულ მიდგომას, თითოეული ქმედების აუცილებლობისა და პროპორციულობის აწონ-დაწონვას. ამა თუ იმ ზომის მიღებისას, რასაც შეიძლება ადამიანის უფლებათა დარღვევა მოჰყვეს, საჯარო ხელისუფლების ორგანოებმა უნდა გაითვალისწინონ, რომ მათ მოქმედებას უნდა წარმართავდეს არა მხოლოდ კანონის უზენაესობა, არამედ ინკლუზიური საზოგადოების მშენებლობის სტრატეგიული მიზანიც.

6. კონგრესი აღიარებს, რომ რადიკალიზაცია უფრო ადვილად დაიბუდებს მოწყვლად ინდივიდებში ყველაზე დაჩაგრული თემებიდან და მოუწოდებს ევროპის საბჭოს ადგილობრივი და რეგიონული ხელისუფლების ორგანოებს, რომ:

a. მთავრობის სხვადასხვა დონესთან შეთანხმებით და ადგილობრივი პარტნიორების ჩართულობით, შეიმუშავონ ადგილობრივი უწყებათაშორისი სტრატეგიები და ჩამოაყალიბონ მოქმედებათა გეგმა ადგილობრივი ვითარების გათვალისწინებით, დააარსონ საკოორდინაციო სამსახურები და მიმართონ საჭირო რესურსები რადიკალიზაციასთან ბრძოლისკენ, მიიღონ კონკრეტული ზომები, რომლებსაც შემდგომი ნაბიჯებიც მოჰყვება;

b. სტრატეგიები და მოქმედებათა გეგმები გააცნონ საზოგადოებას დაბალანსებულად და პასუხისმგებლობით, განსაკუთრებული აქცენტი გააკეთონ მსჯელობაზე შეკავშირების შესახებ, რისი მიზანიც იქნება მესიჯის სწორად გადაცემა და კონკრეტული ჯგუფების სტიგმატიზაციის თავიდან აცილება; ამასთან უზრუნველყონ, რომ უსაფრთოებაზე ზრუნვამ ჩრდილი არ მიაყენოს ადამიანის უფლებათა და კანონის უზენაესობის პატივისცემის ვალდებულებას;

c. ხელი შეუწყონ პარტნიორობის დამყარებას ადგილობრივი უსაფრთხოების სფეროში, სხვადასხვა მონაწილე მხარისათვის ადეკვატური ტრენინგების ჩატარებას, მათ შორის, იმ თანამშრომელთა გაწვრთნას, ვინც უშუალოდ მუშაობს სარისკო პირებსა თუ ჯგუფებთან - ციხეების თანამშრომლების, სოციალური მუშაკების, მასწავლებლების და ჯანდაცვის სფეროს წარმომადგენლების, რათა ამაღლდეს მათი შეგნება რადიკალიზაციის პროცესებსა და მათზე რეაგირების გზებზე;

d. ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოებში აამაღლონ ცნობიერება არსებული საუკეთესო პრაქტიკის შესახებ, რათა მათ - ვისაც შეიძლება ეშინოდეს, რომ ისინი სათანადოდ არ არიან აღჭურვილნი ამგვარ სიტუაციებთან გასამკლავებლად, ან რადიკალიზაცია არ არის მათი პრიორიტეტი - აჩვენონ, რომ ევროპის მრავალ ქალაქში არსებობს პროექტების მნიშვნელოვანი გამოცდილება, რაც კარგი რესურსი იქნება ექსტრემიზმთან ბრძოლაში; გაცვალონ ცოდნა თუ საუკეთესო პრაქტიკა სხვა ევროპულ ქალაქებთან, როგორც პოლიტიკურ, ასევე ადმინისტრაციულ დონეზე, რეგულარული შეხვედრების გზით, სადაც თავს მოიყრის სხვადასხვა ადგილობრივი მონაწილე ევროპიდან;

e. ხაზი გაუსვან განათლების მნიშვნელოვან როლს, განსაკუთრებით, ოჯახებსა და სკოლებთან დაკავშირებით; საგანგებო ყურადღება მიაპყრონ ისეთ საკითხებს, როგორიცაა კულტურული მრავალფეროვნება, ადამიანის უფლებები და სიძულვილის ენის საზიანო შედეგები; გააცნობიერონ, რომ ახალგაზრდები, იმყოფებიან რა თავიანთი ცხოვრების ფორმირებისა და იდენტობის ჩამოყალიბებისათვის ბრძოლის პროცესში, განსაკუთრებით

მოწყვლადები არიან სიძულვილისა და ძალადობისაკენ მოწოდებებისადმი. თუმცა, ისინი შეიძლება გახდნენ მყარი მოკავშირეები სიძულვილის გამოვლინების წინააღმდეგ ბრძოლაში, სოციალურ მედიასთან მათი მჭიდრო კავშირების გამოყენების მეშვეობით;

f. ჩართონ სამოქალაქო საზოგადოება რადიკალიზაციისა და ექსტრემიზმის ნებისმიერი გამოვლინების წინააღმდეგ მუშაობის პროცესში, იქნება ეს სიძულვილის ენა, ანტისემიტიზმი თუ ისლამოფობია; დაამყარონ პარტნიორობა არასამთავრობო ორგანიზაციებთან, რელიგიური თემების ლიდერებსა და, ინდივიდუალურ დონეზე, ყოფილ ექსტრემისტებთან;

g. მხარი დაუჭირონ პროგრამებს იმ პირებისათვის, ვისაც სურვილი აქვს გაემიჯნოს ექსტრემიზმს, განსაკუთრებით, რელიგიურ ექსტრემიზმს და ამისთვის ითანამშრომლოს სამოქალაქო საზოგადოებასთან;

h. გამოყონ საჭირო რესურსები ამ სფეროში აქტივობებისათვის, გააცნობიერონ ის ფაქტი, რომ პრევენციული მუშაობა უნდა ჩაითვალოს ჩვეულებრივი ბიუჯეტის ნაწილად, რომელსაც სტაბილური გრძელვადიანი დაფინანსება სჭირდება;

i. დაამყარონ ალიანსი სანდო პარტნიორებთან, მიჰყვნენ გამჭვირვალობის კარგად დადგენილ პრაქტიკას - საჯაროზე გამოიტანონ, თუ როგორ ნაწილდება რესურსები ეთნიკურ და რელიგიურ გაერთიანებებს შორის, როცა მათ აღმოუჩენენ ფინანსურ მხარდაჭერას; ასევე შეათანხმონ აქტივობები მთავრობასთან რეგიონულ და, საჭიროების შემთხვევაში, სახელმწიფოებრივ დონეზე.

j. განავითარონ თანამშრომლობა საერთაშორისო ორგანიზაციებთან, რომლებიც იზიარებენ კონგრესის ღირებულებებსა და საზრუნავს ან იმ ორგანიზაციებთან ვინც ამჟამად მუშაობს საკითხებზე, რომ ე ლ ი ც ე მ ს ა ხ ურ ე ბ ა რადიკალიზაციასთან ბრძოლის მიზანს, მაგალითად, ურბანული უსაფრთხოების ევროპულ ფორუმთან.

7. კონგრესი აცნობიერებს, რომ რადიკალიზაციასთან ბრძოლა ხანგრძლივი პროცესია, რომელიც გრძელვადიან მართვას საჭიროებს. ამიტომ კვლავ იმეორებს თავის გადაწყვეტილებას, მუდმივად დღის წესრიგში ჰქონდეს ეს საკითხი და მიჰყვეს თავის რეზოლუციებსა და საქმიანობას წევრ სახელმწიფოებში პროგრესის რეგულარული შეფასების გზით.

II. განმარტებითი მემორანდუმი[2]

1. შესავალი

1. ტერორისტთა თავდასხმებისას პარიზსა და კოპენჰაგენში, რომელშიც შეიარაღებული ჯიჰადისტები მონაწილეობდნენ, 14 ადამიანი დაიღუპა და 10 დაიჭრა. ეს ფაქტი თვალსაჩინოს ხდის იმის საჭიროებას, რომ ქალაქებმა მეტი გაკეთონ ექსტრემიზმთან ქმედითი ბრძოლისთვის. ამ თავდასხმებმა აშკარად მიგვანიშნა სარისკო საკითხებზე: მზარდი რადიკალიზაცია ქალაქებში, რასაც ძალადობრივ ექსტრემიზმსა და კონფესიათაშორის მტრობამდე მივყავართ, საზოგადოებაში გაზრდილი პოლარიზაციის რისკი და ზოგიერთი თემის სტიგმატიზაცია, სიძულვილის

2 ეს განმარტებითი მემორანდუმი ეფუძნება ევროპის საბჭოს კონსულტანტის Juul van HOOF-ის (Stichting Movisie, უტრეხტი, ნიდერლანდების სამეფო) მომზადებულ დოკუმენტს, რომლის გამოთხოვაც შესაძლებელია სამდივნოდან.

ენა სოციალურ მედიაში, ასევე ცენზურისა და თვითცენზურის რისკი - ეს ის არსებული საფრთხეებია, რაც ქალაქების წინაშე დგას.

2. ბოლო ორი დეკადის განმავლობაში კონგრესი აქტიურად მუშაობს თემებზე, რომელთა მიზანიცაა ინკლუზიური და მდგრადი საზოგადოების ჩამოყალიბება, რაც იქნება ერთგვარი დამცავი ფარი რადიკალიზაციის პრევენციისა და აღკვეთისათვის ადგილობრივ თუ რეგიონულ დონეზე. ამ კონტექსტში კონგრესმა გამოსცა რეკომენდაციები ტერორიზმთან დაპირისპირების, ინტეგრაციის ხელშეწყობისა და მიგრანტთა მონაწილეობის შესახებ, კულტურათაშორისი და რელიგიათაშორისი დიალოგის შესახებ, ასევე რეზოლუციები ქალაქებში დანაშაულის პრევენციის, ადგილობრივ და რეგიონულ დონეზე რასიზმთან ბრძოლის და დემოკრატიული მოქალაქეობისათვის განათლების შესახებ.

3. 2015 წლის 2 თებერვალს კონგრესის ბიურომ მიიღო „ადგილობრივ დონეზე რადიკალიზაციასთან ბრძოლის სტრატეგია“, რასაც მოჰყვა რეზოლუციის 381(2015) მიღება. რეზოლუცია გვთავაზობს მთელ რიგ აქტივობებს მოკლე, საშუალო და გრძელვადიანი პერიოდისთვის ადგილობრივ და რეგიონულ დონეზე. ეს აქტივობები მოქმედებათა სამ მიმართულებას ეფუძნება, კერძოდ, ცნობიერების ამაღლებას, სინერგიას ევროპის საბჭოს ორგანოებთან და სხვა ინსტიტუციებთან.

4. რადიკალიზაცია გარკვეულწილად „ჩართულობის/ინტეგრაციის“ საკითხია, მაგრამ იდეოლოგიური და ზოგჯერ რელიგიური ფაქტორებიც უდევს საფუძვლად, რისი უარყოფაც არ შეიძლება. ადგილობრივი და რეგიონული ხელისუფლების ორგანოების კონგრესის ყოფილი პრეზიდენტი, ჯოვანი დი სტასი, მაგალითად,

ხაზგასმით აღნიშნავდა ჩართულობაზე დაფუძნებული პოლიტიკის გატარების აუცილებლობას. ურბანულ ძალადობასთან დასაპირისპირებლად იგი ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოებთან თანამშრომლობის გაზრდაზე ლაპარაკობდა: „ ჩვენ ვეღარ შევეგუებით ქალაქებში სოციალურად გარიყული უბნების არსებობას, სადაც მისვლა შეუძლებელია. განსაზღვრული პოლიტიკა საზოგადოების ყველა წევრის ჩასართავად ამ გამოწვევებზე რეაგირების ერთარდერთი გზაა“.[3] რადიკალიზაცია პრობლემაა, რომელიც პრევენციული ზომების გატარებას საჭიროებს და ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოებს ამის გაკეთება საუკეთესოდ შეუძლიათ.

5. მიუხედავად იმისა, რომ ვითარება საშინელი ჩანს, საჭირო პოზიტიური პერსპექტივის დანახვა ამ საკითხთან დასაპირისპირებლად გრძელვადიან პერიოდში. სანამ ჩვენი საზოგადოება სწავლობს მრავალფეროვნებაში თანაცხოვრებას, ამასობაში ასევე ისწავლის თავიანთი მოსახლეობის გარკვეული ნაწილის რადიკალიზაციასთან გამკლავებას. ევროპის საბჭოს სამოქმედო გეგმაში „მრავალფეროვნებაში თანაცხოვრება“ აღნიშნულია: „მრავალფეროვნება ჩვენთან უნდა იყოს. იგი აყალიბებს ევროპის მომავალს ამ სწრაფად ცვალებად მსოფლიოში და მომავალშიც ასე იქნება. აქედან გამომდინარე, სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს, რომ ევროპელებმა უფრო ქმედითად და გულითადად უპასუხონ ამ გამოწვევებს - და, ვთქვათ სიმართლე, მეტად უკეთ, ვიდრე ამას ახლა აკეთებენ“.

6. დღეს ევროპის ბევრი ქალაქი აერთიანებს სხვადასხვა ეროვნების ათეულობით ადამიანს. ერთად თანაცხოვრების სწავლა ხანგრძლივი პროცესია, რომელიც, შესაძლოა,

[3]https://wcd.coe.int/ViewDoc.jsp?Ref=PR603(2005)&Sector=secDCR&Language=lanEnglish&Ver=original&BackColorInternet=1EB1E9&BackColorIntranet=FFCD4F&BackColorLogged=FFC679

მტკივნეული აღმოჩნდეს, მაგრამ, ამავე დროს, სახალისოცაა. ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოებს პასუხისმგებლობა აკისრიათ მათ მიმართ, ვინც ზარალდება რადიკალიზაციის შედეგებით თავის საზოგადოებაში, რასაც მივყავართ საზოგადოების ზოგიერთი წევრისადმი ძალადობისაკენ, ან მივყავართ ისეთ საუბრებამდე და ქმედებამდე, რაც ხელს უშლის რელიგიის თავისუფლების გამოხატვას. კონგრესმა აქტიურად დაუჭირა მხარი ევროპის საბჭოს კამპანიას „არა სიძულვილის ენას“ (2012-2014). ეს კამპანია ემსახურებოდა ცნობიერების ამაღლებას იმაზე, თუ რა არის სიძულვილის ენა ინტერნეტში და რა რისკებს უქმნის დემოკრატიას; ასევე მიზნად ისახავდა სიძულვილის ენის სამიზნე ადამიანებისა და ჯგუფებისათვის სოლიდარობის გამოხატვასა და მხარდაჭერას.

1.1. რადიკალიზაცია: განმარტება

7. რადიკალიზაცია ზოგადად განიხილება როგორც პროცესი, რომელიც ზოგჯერ მიდის ძალადობრივ ექსტრემიზმსა და ტერორიზმამდე. ამ განმარტებას იყენებენ, მაგალითად, ევროპის საბჭო, ევროკომისია (EC) და ბევრი მკვლევარი. EC თავის ტექსტებში რადიკალიზაციას განმარტავს როგორც „ფენომენს, ადამიანები განიმსჭვალონ იმ აზრებით, შეხედულებებითა და იდეებით, რომლებმაც ისინი შეიძლება მიიყვანონ ტერორისტულ აქტამდე“.[4] ამ თვალსაზრისით, რადიკალიზაცია არ შეიძლება განვიხილოთ როგორც სწორხაზოვანი პროცესი, რომელიც გადის კონკრეტულ სტადიებს მუდმივი სიჩქარით, არამედ ეს არის ცვალებადი რამ, დამოკიდებული ადგილობრივ კონტექსტსა და ინდივიდუალურ ფაქტორებზე.

[4] ttp://ec.europa.eu/dgs/home-affairs/what-we-do/policies/crisis-and-terrorism/radicalisation/index_en.htm

8. არსებობს მრავალი მიზეზი, რომელიც ხელს უწყობს ინდივიდებს, გახდნენ რადიკალურები. მათ შორის, საზოგადოებაში ინტეგრაციის ნაკლებობა, პოლიტიკური გარიყულობა ან ცალკეული ექსტრემისტების, მათი ჯგუფებისა თუ ორგანიზაციების გავლენის ქვეშ მოქცევა[5]. ადგილობრივი, კულტურული და სოციალური კონტექსტი ზემოქმედებს რადიკალიზაციის პროცესზე, რაც აისახება საჯარო ხელისუფლების ორგანოების რეაგირებაზეც. ადგილობრივი და რეგიონული ხელისუფლების ორგანოების მოქმედების სფეროსა და უფლებამოსილებებს ჩახშობასა და აღკვეთაზე მეტად შეესაბამება პრევენციული ზომების მიღება და დერადიკალიზაცია (მაგალითად, იმ ინდივიდთა რეინტეგრაციისაკენ მიმართული ქმედებები, რომლებიც გაერიყნენ საზოგადოებას).

9. კონგრესი აღიარებს, რომ რადიკალიზაცია უფრო ადვილად დაიბუდებს მოწყვლად ინდივიდებში ყველაზე დაჩაგრული თემებიდან და მთავრობის სხვადასხვა დონეს შორის კოორდინაციასა და სინერგიას მიიჩნევს უმთავრეს პრიორიტეტად, რათა დაცული იყოს მოქალაქე ასეთი საფრთხისაგან; ასევეა თანამშრომლობა სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებთან, მკვლევარებსა და პრაქტიკოსებთან.

2. პასუხი რადიკალიზაციას: სამი დამატებითი მიდგომა

10. ევროპაში გაჩნდა რამდენიმე ინიციატივა, რომელთა მიზანი რადიკალიზაციასთან დაპირისპირებაა. ევროპული ურბანული ქარტია (1992)[6] აცხადებს, რომ უსაფრთხოებისა და დანაშაულის პრევენციის ერთიანი პოლიტიკა უნდა

[5] http://www.strategicdialogue.org/De-radicalisation_final.pdf
[6] https://wcd.coe.int/ViewDoc.jsp?id=887405

ეფუძნებოდეს პრევენციას, სამართალდამცავ ღონისძიებებს და ურთიერთმხარდაჭერას. მიდგომები შეიძლება განსხვავდებოდეს სხვადასხვა ასპექტით. თუმცა, ზოგადად, შეიძლება გამოვყოთ სამი განსხვავებული კატეგორია, რომლებიც უკვე გამოიყენება ამ პრობლემასთან გასამკლავებლად.

11. შეზღუდვა, როგორც პასუხი რადიკალიზაციისადმი, ტრადიციულად, არის სახელმწიფოებრივი დონის პასუხისმგებლობა და მოიცავს საპოლიციო საქმიანობას, კანონმდებლობას და სადაზვერვო მუშაობას. ეს მნიშვნელოვანი ასპექტია, მაგრამ მასზე ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოებს, ჩვეულებრივ, შეზღუდული გავლენა აქვთ. აქედან გამომდინარე, ეს ვერ იქნება წინამდებარე ანგარიშის ფოკუსი. ასევე აღსანიშნავია, რომ შეზღუდვა „ყოველთვის ამოქმედდება“, თუ პირზე შეგროვდა საკმარისი მტკიცებულებები. თუნდაც პირის მიმართ არსებობდეს ამა თუ იმ ფორმის პრევენციული მიდგომა, შეზღუდვის ზომები, გარემოებებისდა მიხედვით, ყოველთვის ხელმისაწვომია. ამ კონტექსტში არსებობს კავშირი შეზღუდვასა და პრევენციას შორის.

12. რადიკალიზაციასთან დაპირისპირება საჭიროებს პრევენციული ზომების გატარებას. გრძელვადიან პერსპექტივაში, პრევენცია უფრო რაციონალური და რენტაბელურია, ვიდრე სიმპტომების ან გაღვივებული კრიზისის აღკვეთა. ამასთან, მოქმედებათა ეს არეალი უპირატესად ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოებისათვისაა განკუთვნილი, სადაც ისინი მეტად ქმედითები შეიძლება იყვნენ და სადაც მათი უფლებამოსილება და მანდატი უფრო რელევანტურია. ჯერ კიდევ 2000 წელს კონგრესმა თავისი 99-ე რეზოლუციის მეშვეობით მოიწვია ადგილობრივი და რეგიონული ხელისუფლების ორგანოები, რათა განევითარებინათ

„მეტად პროაქტიული მიდგომა, რაც გულისხმობდა უფრო პრობლემებთან დაპირისპირებასა და მათ პრევენციას, ვიდრე მათზე რეაგირებას მოგვიანებით, უფრო გრძელვადიანი მიდგომის შემუშავებას, ვიდრე მოკლევადიანის“.

13. ამგვარმა ძალისხმევამ, შესაძლოა, სხვადასხვა ფორმა მიიღოს. ბუნებრივია, რაც მუშაობს ერთ ქალაქში, შეიძლება ვერ გამოდგეს მეორეში. წარმატებული პრევენციული სტრატეგიის შემუშავებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს ადგილობრივი დინამიკა. ასევე მნიშვნელოვანია იმის გათვალისწინება, რომ ძალადობრივი რადიკალიზაციის პრევენცია მხოლოდ ნაწილია პრევენციის გლობალური სტრატეგიის. ის მრავალმხრივი უნდა იყოს, თუმცა ასევე უნდა შედიოდეს ქალაქის უსაფრთხოების სხვა აქტივობებში. ეს თვალსაზრისი ასეა შეჯამებულია ევროპულ ურბანულ ქარტიაში: „დანაშაულს მრავალგვარი მიზეზი შეიძლება ჰქონდეს. აქედან გამომდინარე, მას უნდა გაეცეს როგორც დივერსიფიცირებული, ასევე კოორდინირებული პასუხი“.

14. პრევენციას მნიშვნელოვნად წაადგება პარტნიორობაც. ეს არ არის მხოლოდ პოლიციისა და მართლმსაჯულების პრობლემა. მეტად ქმედითობისთვის საჭიროა სხვა სექტორების და სამოქალაქო საზოგადოების ჩართვა. მაგალითად, ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოებისათვის მნიშვნელოვანი პარტნიორები შეიძლება გახდნენ და ფასდაუდებელი როლი ითამაშონ ყოფილმა ექსტრემისტებმა, რომლებიც უნიკალურ ინფორმაციას და ცოდნას ფლობენ. ისლამისტური ექსტრემიზმის კუთხით კი ნაყოფიერი იქნება პარტნიორობა ადგილობრივ მეჩეთებსა და რელიგიურ გაერთიანებათა ლიდერებთან, ექსტრემიზმის წინააღმდეგ ერთობლივი მუშაობის მიზნით. თუმცაღა, ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ამგვარ

პარტნიორობას უფრო ფართო დღის წესრიგი ჰქონდეს და არ შემოიფარგლოს მხოლოდ უსაფრთხოების საკითხებით. თუ ურთიერთნდობა და პარტნიორობა ეფუძნება სხვადასხვა თემაზე ხანგრძლივ თანამშრომლობას, უსაფრთოხების პრობლემატიკის ჩართვა უფრო ბუნებრივი ხდება, ვიდრე პარტნიორობის დაწყება და დასრულება მხოლოდ უსაფრთოხების საკითხებით.

15. რადიკალიზაციაზე რეაგირების მესამე შესაძლო გზა არის იმ ადამიანთა რეინტეგრაცია, ვინც ადრე ჩართული იყო რადიკალიზაციის პროცესში (და შემდგომ მოინანია). ისევე როგორც პრევენციის შემთხვევაში, ეს ის სფერო, სადაც ადგილობრივ მთავრობებს აქვთ შესაძლებლობა, შეასრულონ მნიშვნელოვანი როლი. აქტივობები ამ მიზნით, რასაკვირველია, უმეტეს შემთხვევაში, ადგილობრივ დონეზე სრულდება. მაგალითად, ორი ამგვარი პროექტი ხორციელდება აარუსში, დანიაში და ბერლინში, გერმანიაში. ამ არსებული გამოცდილებით შესაძლებელია ისწავლონ სხვა ქალაქებმაც.

a. პრობლემის დაძლევის ე.წ. აარუსის მოდელი ხშირად ხაზგასმით მოიხსენიება როგორც რადიკალიზაციასა და ექსტრემიზმთან ბრძოლის გზა ქალაქებისთვის[7]. ეს მიდგომა ფოკუსირებულია ჩართულობაზე. იმის გათვალისწინებით, რომ ცალკეულ ინდივიდებს არ ჩაუდენიათ სისხლის სამართლის დანაშაული, ხელისუფლების ორგანოები ეხმარებიან მათ, დაუბრუნდნენ საზოგადოებას. თუმცა, წარმატებული პრევენციული მუშაობისათვის მნიშვნელოვანია ადგილობრივი კონტექსტის გათვალისწინება. სხვადასხვა ქალაქში, შესაძლოა, განსხვავდებოდეს პრობლემის გადაჭრის საუკეთესო გზები.

[7]http://cir.au.dk/fileadmin/site_files/filer_statskundskab/subsites/cir/radicalization_aarhus_FINAL.pdf

საკუთარ ქალაქს კი ყველაზე უკეთ ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოები იცნობენ.

b. ევროკომისიის სტრატეგიაში „ძალადობრივ ექსტრემიზმთან ბრძოლის შესახებ“ (CVE) გამოძახილი ჰპოვა მზარდმა საერთაშორისო ტენდენციამ, აქცენტი გაკეთდეს ტრანსნაციონალური ძალადობის პრევენციაზე.[8] ძალადობრივ ექსტრემიზმთან ბრძოლის სტრატეგია უფრო ფართოა, ვიდრე ოდენ ძალადობრივი ისლამიზმი ან აისისის სახელთან დაკავშირებული ძალადობის გამოვლინებანი. იგი უპასუხებს ძალადობრივი ექსტრემიზმის ყველა ფორმას, მიუხედავად იდეოლოგიისა და აქცენტს აკეთებს არა რადიკალურ აზროვნებასა ან ლაპარაკზე, არამედ ძალადობრივი თავდასხმების პრევენციაზე.

3. უშიშროება და უსაფრთხოება როგორც ფუნდამენტური უფლებები

16. თავის რეკომენდაციაში 80(2000) ევროპაში დანაშაულისა და ურბანული უსაფრთხოების შესახებ, კონგრესმა აღნიშნა, რომ ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოებს საკვანძო ადგილი უკავიათ დანაშაულის პრევენციასა და შემცირებაში. აქედან გამომდინარე, ეროვნულმა ხელისუფლებამ უნდა გააძლიეროს ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოების პასუხისმგებლობა და გაზარდოს ამ კუთხით მიმართული რესურსების რაოდენობა.

17. 2006 წელს კონგრესმა მიიღო მეორე რეკომენდაცია (რეკომენდაცია 197) ევროპაში ურბანული უსაფრთხოების შესახებ, სადაც ხაზგასმით აღნიშნა, რომ ურბანული უსაფრთხოება საჭიროებს მრავალი მულტიდისციპლინური

[8] http://europa.eu/rapid/press-release_IP-14-18_en.ht

სფეროსა და სპეციალისტის ჩართვას, არა მხოლოდ პოლიციიდან და სასამართლო სისტემიდან, არამედ სხვა ადმინისტრაციული და სოციალური სფეროებიდან. იგი ასევე იწვევს წევრ სახელმწიფოებს „რათა უზრუნველყონ მოქალაქეთა უსაფრთხოება და ამავე დროს სრულად დაიცვან ადამიანის უფლებები და ფუნდამენტური თავისუფლებები“.

18. უსაფრთხოების პოლიტიკა უნდა შემუშავდეს და მოერგოს ცალკეულ მოქალაქეებსა და მათ ერთობლივ საჭიროებებს და არა საჯარო ინსტიტუციებს. ამისათვის საჭიროა მოქალაქეთა ჩართულობის საყოველთაო წახალისება და სამოქალაქო საზოგადოების მონაწილეობა ყველა საფეხურზე. ამ მიდგომის არსებითი ნაწილია ყველა ძალის გაერთიანება, რათა კომპლექსურად უპასუხონ პრობლემებს. ეფექტიანობის გასაზრდელად აუცილებელია პარტნიორობის მნიშვნელობის ხაზგასმა. თანაბრად მნიშვნელოვანია ასევე პრობლემების კომპლექსურად გაანალიზება, შეფასება და ფაქტობრივ გამოცდილებაზე დაფუძნებული ზომების გამოყენება. პოლიტიკა უნდა ითვალისწინებდეს უახლეს ტექნიკურ და მეცნიერულ ცოდნას.

19. უსაფრთხოების ზომების განსავითარებლად, განსახორციელებლად და მათზე ცნობიერების ასამაღლებლად საჭიროა მრავალსაფეხურიანი მმართველობა, ურბანული უსაფრთხოების გათვალისწინებით. მიუხედავად იმისა, რომ უსაფრთხოების სტრატეგიათა განსაზღვრა სახელმწიფოებრივ დონეზე გადასაწყვეტი საკითხია, ადილობრივი ხელისუფლების ორგანოებს შეუძლიათ გადამწყვეტი როლი შეასრულონ დილემის - „უსაფრთხოება თავისუფლების წინააღმდეგ“ - გადაჭრაში, რადგან ისინი ახლოს არიან მოქალაქეებთან და ძალუძთ იმოქმედონ

უშუალო კონტაქტით. ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოებს შეუძლიათ იმუშაონ სოციალური ინტეგრაციის მისაღწევად და თავიდან აიცილონ ძალადობამდე მისული კონფლიქტები, მოქალაქეთა მონაწილეობისა და საზოგადოებაში დიალოგის ხელშეწყობის გზით.

4. უწყებათაშორისი სტრატეგიები: პარტნიორობა ამ სამუშაოს შესასრულებლად

20. ქმედითი, ფუნქციონალური პარტნიორობის დასამყარებლად - ვუწოდოთ მას კეთილი ნების კოალიცია - ქალაქებს უნდა ჰქონდეთ ცხადი ხედვა (არსებული სტრუქტურების გამოვლენისა და მობილიზების გზით), მათ სივრცეში ვის შეუძლია დახმარება ამ საკითხთა გააზრების კუთხით - და ჩართონ ახალი მოქმედი პირები, იქნება ეს მოქალაქეები, არასამთავრობო ორგანიზაციები, რელიგიურ გაერთიანებათა ლიდერები, ოჯახები, ახალგაზრდობა, სკოლები, ბლოგერები, სოცმუშაკები თუ სხვა. ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოებს მეტის გაკეთება შეუძლიათ ადგილობრივ დონეზე პარტნიორობის დასამყარებლად და ერთობლივი მუშაობისთვის. მაგალითად, ისლამური რადიკალიზაციის შემთხვევაში, შესაძლებელია მუსლიმურ ორგანიზაციებთან ერთად ღირებულებათა საერთო სისტემის შექმნა.

21. არსებობს რიგი იმედისმომცემი ადგილობრივი ინიციატივებისა (კოპენჰაგენში, აარუსში, ბერლინში, ლონდონში, ვილვორდში, ბრიუსელსა თუ სხვაგან), თუ როგორ გავუმკლავდეთ რადიკალიზაციას და სხვა ქალაქებმა შეიძლება მაგალითი აიღონ.

22. მაგალითად, პროექტი Hayat (ეს სიტყვა თურქულად და არაბულად ნიშნავს „სიცოცხლეს“), რომელსაც ბერლინში ახორციელებს დემოკრატიული კულტურის ცენტრი (Centre

for Democratic Culture (ZDK GmbH)), ითვალისწინებს ისლამისტური ექსტრემიზმის ძალადობის რისკქვეშ მყოფი ცალკეული პირებისა და ოჯახებისათვის რჩევების მიცემასა და დახმარების აღმოჩენას. პროექტში 4 ადამიანი მუშაობს სრულ შტატზე და დამატებით კიდევ ბევრი თანამშრომელი ჰყავთ, რომლებიც საათობრივად მუშაობენ. პროექტში დასაქმებულნი არიან ფსიქოლოგები, კრიმინოლოგისტები და ისლამოლოგები.

23. მათი სამუშაოს უდიდესი წილი მოდის იმ ოჯახების მხარდაჭერაზე, საიდანაც ადამიანები გაემგზავრნენ ან აპირებენ გამგზავრებას სირიაში, ალ-ქაედასთვის საბრძოლველად. ამ სამსახურს აფინანსებს სახელმწიფო, მიგრაციისა და თავშესაფრის მაძიებელთა ფედერალური ოფისი (*Bundesamt für Migration und Flüchtlinge,* BAMF). პროგრამის ერთ-ერთი მიზანია ნათესავების გაძლიერება, რათა მათ უკეთ შეძლონ რადიკალიზაციის პროცესის მართვა საკუთარ ოჯახებში. პროგრამის გამოცდილება აჩვენებს, რომ ხშირად ოჯახში არის კონფლიქტი, რომელიც საჭიროებს განმუხტვას მანამ, სანამ შეუდგებიან რაიმე სახის გააზრებულ დახმარებას საეჭვო პირის დერადიკალიზაციის მიზნით. პროექტი ასევე შეიძლება გახდეს სამოქალაქო საზოგადოებისა და ხელისუფლების უსაფრთხოების ორგანოების შემაკავშირებელი. 2015 წლის გაზაფხულზე მათ, დაახლოებით, 130 შემთხვევა ჰქონდათ, რომელთაგან 50 დასრულდა, ხოლო 21 აღინიშნა აშკარად წარმატებულად იმ მხარდაჭერის გამო, რომელიც მათ ოჯახებს გაუწიეს. მხოლოდ ერთ შემთხვევაში წავიდა საქმე უარესობისკენ.

24. ქალაქებისათვის კარგი რესურსია რადიკალიზაციის შესახებ ევროკავშირის ცნობიერების ქსელი; ქსელი აკავშირებს ამ სფეროს პრაქტიკოსებს მთელი ევროპის მასშტაბით, რათა მათ ერთმანეთს გაუზიარონ გამოცდილება და ცოდნა. ქსელი თავს უყრის რადიკალიზაციის

წინააღმდეგ მიმართულ ინიციატივათა დიდი რაოდენობით არსებულ პრაქტიკას და მათი რიცხვი განუხრელად იზრდება, რაც წარმოადგენს სასარგებლო წყაროს ქალაქებისათვის. ამ პრაქტიკათა შორისაა პროექტები ქვემოთ ჩამოთვლილ საკითხებზე:

a. წინა ხაზზე მოქმედი სპეციალისტების ცნობიერების ამაღლება;

b. „გამოსვლის“ სტრატეგიები: დერადიკალიზაცია და გამიჯვნა;

c. უფსკრულების ამოვსება დიალოგის გზით;

d. საზოგადოების ჩართულობა და გაძლიერება;

e. ახალგაზრდების განათლება;

f. ოჯახების მხარდაჭერა და გაძლიერება;

g. მოწინააღმდეგის კავშირებთან დაპირისპირების საშუალებები;

h. ინსტიტუციური ინფრასტრუქტურის შექმნა.

5. ქმედებები სათავეში: რისი გაკეთება შეუძლიათ ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოებს?

25. პრევენციის მიზნით, არსებობს რადიკალიზაციასთან ბრძოლის მთელი რიგი ინტერვენციული საშულებებისა, რომლებიც ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოებისთვისაა მისაწვდომი. მათგან ზოგიერთი ქვემოთაა ჩამოთვლილი. ქალაქებისათვის მნიშვნელოვანია, რომ მუდმივად ვითარდებოდნენ ამ მიმართულებით, მიუხედავად იმისა, თუ როგორია კანონმდებლობა ამ თვალსაზრისით.

a. ერთიანი ადგილობრივი უწყებათაშორისი სტრატეგიების შემუშავება: ადგილობრივ დონეზე ქალაქებს სჭირდებათ მოქმედებათა გეგმის ჩამოყალიბება (ადგილობრივი ვითარების აღწერა, მოქმედებათა მიმართულების განსაზღვრა და მაკოორდინერებელი ორგანოების შექმნა),

ასევე რადიკალიზაციასთან ბრძოლისათვის რესურსების გამოყოფა, კონკრეტული ზომების მიღება, რასაც მოჰყვება შემდგომი ნაბიჯები, ამასთან, მთავრობის სხვადასხვა საფეხურთან კოორდინაცია. ადგილობრივი და რეგიონული ხელისუფლების ორგანოების კონგრესის წინა რეკომენდაციაში მონაწილე მხარეებს შორის კოორდინაციისა და სინერგიის ეფექტის მიღწევის შესახებ ხაზგასმითაა აღნიშნული, რომ „არსებითი მნიშვნელობა აქვს, მონაცემები, ინფორმაცია და იდეები ურბანულ უსაფრთოხებაზე გროვდებოდეს ერთ რეზერვუარში, რათა გაუმჯობესდეს ცოდნა და გამარტივდეს გადაწყვეტილებათა მიღება“.[9]

b. ცნობიერების ამაღლება დაინტერესებულ მხარეებს შორის: ადგილობრივი უსაფრთხოების საკითხებში პარტნიორობისათვის მნიშვნელოვანია ცნობიერების ამაღლება დაინტერესებულ მხარეებს შორის და სათანადო ტრენინგების ჩატარება სხვადასხვა მონაწილე მხარისათვის. მაგალითად, ერთ-ერთ მონაწილე მხარედ შეიძლება ჩაითვალონ ის მოქმედი სპეციალისტები, ვინც წინა ხაზზე მუშაობენ ინდივიდებსა თუ რისკის ქვეშ მყოფ ჯგუფებთან. სხვა მონაწილეთა მხარეებს შორისაა ციხის თანამშრომლები, სოცმუშაკები, მასწავლებლები და ჯანდაცვის მუშაკები. ამგვარი ტრენინგები ამ ადამიანებს დაეხმარება რადიკალიზაციის პროცესის უკეთ გააზრებაში და მასზე რეაგირების გზების ძიებაში.

c. ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოებს შორის ცნობიერების ამაღლება არსებული საუკეთესო პრაქტიკის შესახებ: ზოგიერთი ადგილობრივი ხელისუფლება შეიძლება შეშინდეს იმის გამო, რომ არ არის სათანადოდ აღჭურვილი სიტუციასთან გასამკლავებლად ან

[9] Recommendation 197 (2006) on urban security in Europe https://wcd.coe.int/ViewDoc.jsp?id=983773&Site=Congress

რადიკალიზაცია არ არის მათი პრიორიტეტი. მათ უნდა დაინახონ, რომ ინფორმაცია და ცოდნა არსებობს და ბევრ ევროპულ ქალაქს აქვს დემოკრატიულ ღირებულებათა გაძლიერებაზე მიმართული პროექტების მნიშვნელოვანი გამოცდილება, რაც შეიძლება კარგ რესურსად გამოდგეს ექსტრემიზმთან ბრძოლაში.

d. განათლება: ხაზგასმით არის აღსანიშნავი განათლების მნიშვნელობა, განსაკუთრებით, ოჯახებსა და სკოლებთან კავშირში. არაერთხელ თქმულა, რომ ოჯახებს აქვთ განსაკუთრებული შესაძლებლობა, ამოიცნონ რადიკალიზაცია, თუმცა, მასზე ზემოქმედებისა და მასთან ქმედითად დაპირისპირებისათვის ოჯახებს ხშირად სჭირდებათ ინფორმაცია და მხარდაჭერა. ასევე მნიშვნელოვანია ახალგაზრდების ფართო განათლება ისეთ საკითხებზე, როგორიცაა შემწყნარებლობა, სხვათა პატივისცემა და ადამიანის უფლებები. სკოლების მოვალეობაა მყარად დაუპირისპირდნენ რადიკალიზაციას და მოახდინონ მისი პრევენცია, მიუხედავად იდეოლოგიისა. ახალგაზრდები მეტად მოწყვლადები შეიძლება აღმოჩნდნენ სიძულვილისა და ძალადობისაკენ მოწოდებების მიმართ, რადგან ჩამოყალიბების პროცესში არიან, რაც იდენტობის დამკვიდრებისაკენ ბრძოლასაც მოიცავს. იდენტობის ამგვარი კრიზისი, შესაძლოა, გამოიყენონ გადამბირებლებმა ექსტრემისტული ჯგუფებიდან, რომლებიც დახელოვნებულნი არიან ახალგაზრდებისათვის მათი ცხოვრების პრობლემებზე ცხადი, თეთრი და შავი პასუხების გაცემაში. მეორე მხრივ, ამავე მოწყვლადობის გამო, ახალგაზრდები შეიძლება გახდნენ ძლიერი მოკავშირეები სიძულვილის გამოვლინების წინააღმდეგ ბრძოლაში. ამას აჩვენებს მათი აქტიური მონაწილეობა სოციალური მედიის გზით ევროპის საბჭოს კამპანიაში „არა სიძულვილის ენას“.

e. საზოგადოებასთან კომუნიკაცია სტრატეგიებსა და მოქმედებებთან დაკავშირებით უნდა იყოს ძალიან დაბალანსებული და შეგნებული. საერთოდ, უპირატესობა უნდა მიენიჭოს ინტეგრირებულ დისკუსიას. ამავე დროს, კომუნიკაცია არ უნდა იყოს ზედმეტად სენსიტიური და ყველაფერს თავის სახელი უნდა დაერქვას. საჭიროა სათანადო ბალანსის დაცვა, რათა მკაფიო მესიჯებმა არ მოახდინოს გარკვეული ჯგუფების სტიგმატიზაცია.

f. საგანგებო მხარდამჭერი პროგრამებით საჭიროა იმ ინდივიდების დახმარება, რომლებსაც სურთ ექსტრემიზმის მიტოვება, განსაკუთრებით, რელიგიური ექატრემიზმის. ამგვარმა პროგრამებმა, შესაძლოა, საკვანძო როლი შეასრულონ პროცესში და ხშირად მეტად წარმატებული აღმოჩნდნენ, თუ ადგილობრივად ხორციელდება. ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოებს შეუძლიათ შექმნან ამგვარი პროგრამები და/ან მიმართონ რესურსები მათ ჩამოყალიბებაზე.

g. სამოქალაქო საზოგადოებამ მნიშვნელოვანი წვლილი უნდა შეიტანოს ნებისმიერი გამოვლინების რადიკალიზაციასა და ექსტრემიზმთან ბრძოლაში, იქნება ეს სიძულვილის ენა, ანტისემიტიზმი თუ ისლამოფობია. ეს შესაძლებელია სოციალური ინტეგრაციისა და საზოგადოებისადმი კუთვნილების განცდის გამძაფრებით. ამის გამოვლენის სხვადასხვა გზა არსებობს, მაგალითად, არასამთავრობო ორგანიზაციების ან რელიგიურ გაერთიანებათა მუშაობა, ინდივიდუალურ დონეზე - ყოფილი ექსტრემისტების მუშაობა. რაც შეეხება ისლამურ ექსტრემიზმს, მუსლიმთა და მათ თემთა ლიდერებს შეუძლიათ აქტიური მონაწილეობა. ზოგიერთი ასეც იქცევა, მაგრამ უმეტესობა ჩუმად არის ან საკმარისად არ აქტიურობს, როცა ახალგაზრდები ექსტრემიზმისკენ მიიდრიკებიან. მუსლიმთა თემები ძირითადი პარტნიორები

არიან პრევენციული მუშაობისას. საჭიროა, ქალაქებმა მათთან კარგი ურთიერთობა დაამყარონ და მხარი დაუჭირონ მათ საქმიანობას პრევენციის მიზნით. რადიკალური მეჩეთების შემთხვევაში, საჭიროა, ქალაქებმა შეძლონ მათზე ზეწოლა და ცხადად ლაპარაკი თავისუფლებასა და დემოკრატიულ ღირებულებებზე.

h. შემოთავაზებული ზომების დაფინანსება: უმეტეს შემთხვევაში, ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოები განსაზღვრავენ, თუ ვისი მოვალეობაა გადაწყვიტოს ბიუჯეტიდან სახსრების გამოყოფის საკითხი. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ პრევენციის მიზნით მუშაობა არ განიხილებოდეს, როგორც მყისიერი გამოსავალი, არამედ იქცეს ძირითადი ბიუჯეტის ნაწილად, რომელსაც სტაბილური გრძელვადიანი დაფინანსება ექნება.

i. დაფინანსება და ადგილობრივ პარტნიორთა მოძიება: ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოთა მხრიდან ეთნიკურ და რელიგიურ გაერთიანებებთან თანამშრომლობა უნდა იყოს გამჭვირვალე, მით უფრო, თუ საქმე ეხება ფინანსური დახმარების აღმოჩენას. ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოებმა უნდა გამოიჩინონ სიფრთხილე, რომ ალიანსში არ შევიდნენ არასწორ პარტნიორებთან, არამედ გამოარჩიონ სანდონი და ესწრაფოდნენ ისეთი წესრიგის დამყარებას, რომ გამჭვირვალე იყოს ინფორმაცია, თუ როგორ იხარჯება გამოყოფილი რესურსები. შესაძლოა, არსებობდეს გარემოებები, როცა ქალაქებს ექმნებათ სირთულეები, რომ თავად გაუმკლავდნენ ვითარებას. ამგვარ შემთხვევებში, მათ დასახმარებლად უნდა მიმართონ რეგიონული ან ეროვნული ხელისუფლების ორგანოებს.

6. დასკვნები

26. სირიაში ევროპელი მეომრების შემაშფოთებლად დიდი რაოდენობა, ტერორისტული აქტები პარიზსა და კოპენჰაგენში, ასევე მუქარები მემარჯვენე ტერორისტებისგან - ეს ყველაფერი არის გამაფრთხილებელი ნიშნები, რომ საჭიროა ქალაქებმა უკეთ და უფრო ეფექტიანად აწარმოონ პრევენციული მუშაობა, რათა რისკის ქვეშ მყოფი ადამიანები განარიდონ ექსტრემიზმს. განსხვავებით კანონმდებლობისაგან, რომელიც უპირატესად სახელმწიფოებრივ დონეზე გადასაწყვეტი საკითხია, პრევენცია ადგილობრივ დონეზე უნდა განხორციელდეს და პრევენციის პოლიტიკას დიდ წილად საკუთრივ ქალაქებმა უნდა მისცენ ფორმა და უხელმძღვანელონ. როგორც ზემოთ აღინიშნა, ეს სფერო არის *par excellence*.

27. ევროპაში უკვე ბევრმა ქალაქმა მიიღო ეს გამაფრთხილებელი ნიშნები სერიოზულად და შეუდგა სტრუქტურულ მუშაობას რადიკალიზაციის პრევენციისათვის, რასაც ძალადობრივ ექსტრემიზმამდე მივყავართ. ამ ქალაქებმა დააგროვეს ცოდნა და შეიმუშავეს პრაქტიკა. სხვა ქალაქებმა შესაძლებელია ეს ნიმუშად აიღონ და მოარგონ თავიანთ კონკრეტულ საჭიროებებს ადგილობრივი დინამიკის გათვალისწინებით. ღირებული ინფორმაცია ხელმისაწვდომია, მაგალითად, ევროკავშირის რადიკალიზაციაზე ცნობიერების ამაღლების ქსელის (EU's Radicalisation Awareness Network (RAN)) მეშვეობით, რაც მოიცავს დიდი რაოდენობით პროექტის გამოცდილებას. ქალაქებს შეუძლიათ ამის სწავლა და იდეების გენერირება. ინფორმაცია ურბანული უსაფრთხოების შესახებ ხელმისაწვდომია ევროპულ ფორუმზე ურბანული უსაფრთხოების შესახებ (European Forum for Urban Security (EFUS))

28. ადგილობრივ მთავრობებს დასჭირდებათ ოჯახების, რელიგიური თემებისა და სამოქალაქო საზოგადოების სხვა მნიშვნელოვან მონაწილეთა თანადგომა და პარტნიორობა მედეგი წინააღმდეგობისა და ქმედითი პრევენციული მუშაობისათვის. ამგვარი პარტნიორობის ჩამოსაყალიბებლად ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოებს დასჭირდებათ ინიციატივის აღება და საიმედო ადგილობრივი პარტნიორების მოძიება. კონგრესმა ეს მომენტი ერთხელ უკვე ხაზგასმით გამოყო თავის ადრინდელ რეკომენდაციაში, აღნიშნა რა, რომ „სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვთ ადგილობრივი და რეგიონული ხელისუფლების ორგანოებს ურბანული უსაფრთხოების მიზნით ახალი პარტნიორობების ჩამოყალიბებაში, რაშიც ყველა სოციალური მოთამაშე ჩაერთვება (მოსახლეობათა დაჯგუფებები და მოქალაქეები) და უსაფრთოხების პროფესიონალებიც (პოლიცია და მართლმსაჯულება), რათა დაამყარონ ადგილობრივი პოლიტიკის ქმედითი, დემოკრატიული და ინტეგრირებული სისტემა“.[10]

29. ევროპის ბევრი ქვეყანა რადიკალიზაციისა და ძალადობრივი ექსტრემიზმის პრობლემის წინაშე იქნება წლების განმვალობაში. როცა პრობლემა გრძელვადიანია, გამოსავალიც გრძელვადიანი უნდა იყოს. ბოლო წუთს გამოძებნილი გამოსავლები, დიდი ალბათობით, მეტად ხარჯიანიც იქნება და ნაკლებად ქმედითიც, კარგად გააზრებულ, სტრუქტუირებულ პრევენციულ მუშაობასთან შედარებით.

30. ამ როლის შეგრძნება უპირატესად ევროპის ქალაქებსა და ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოებზეა

[10] Recommendation 216 (2007) on Community policing: local and regional authorities guaranteeing a new partnership. ttps://wcd.coe.int/ViewDoc.jsp?id=1123875&Site=Congress

დამოკიდებული. ამ ვალდებულების წარმატებით დაძლევის მნიშვნელობის შეფასება გადაჭარბებული ვერ იქნება.

წინამდებარე ტექსტში განხილულია რადიკალიზაციის კონცეფცია და ამ პრობლემასთან ბრძოლის სხვადასხვა მიდგომა, როგორიცაა ჩახშობა, პრევენციული ზომების მიღება და რადიკალიზებულ პირთა რეინტეგრაცია. მასში წარმოდგენილია კონკრეტული მაგალითები ევროპის საჭოს წევრი სახელმწიფოების ადგილობრივი და რეგიონული ხელისუფლების დონეზე. მსჯელობა ასევე შეეხება ურბანული უსაფრთხოებისა და უშიშროების საკითხებს. იმის გათვალისწინებით, რომ უსაფრთხოება ფუნდამენტურ უფლებათა ნაწილია, ხაზგასმით არის აღნიშნული ბალანსის დაცვის აუცილებლობა რადიკალიზაციასთან ბრძოლის მეთოდებსა და იმ მოთხოვნებს შორის, რასაც ადამიანის უფლებები, კანონის უზენაესობა და ინკლუზიური, შეკავშირებული საზოგადოების ჩამოყალიბების მიზანი წარმოშობს.

სახელმძღვანელო მითითებები რეკომენდაციას უწევს ადგილობრივი და რეგიონული ხელისუფლების ორგანოებს, შეიმუშაონ ისეთი სტრატეგია, რომ სამოქალაქო საზოგადოებაც ჩაერთოს მათ მუშაობაში ექსტრემიზმის წინააღმდეგ, მისი ნებისმიერი გამოვლინებით, იქნება ეს სიძულვილის ენა თუ ანტისემიტური ან ანტიმუსლიმური განწყობები და ქმედებები. ადგილობრივი და რეგიონული ხელისუფლების ორგანოებს მოეთხოვებათ თავიანთი სტრატეგიების საზოგადოებასთან შეთანხმება დაბალანსებულად და პასუხისმგებლობით, ინფორმაციის გაცვლა კარგი პრაქტიკის მაგალითებზე, პროგრამების მხარდაჭერა ცალკეულ პირთა დასახმარებლად, რომ მათ დატოვონ ექსტრემისტული დაჯგუფებები და რესურსების გამოყოფა რადიკალიზაციასთან ბრძოლისათვის. ადგილობრივი და რეგიონული ხელისუფლების ორგანოებს მოუწოდებენ, შექმნან ალიანსი სხვა პარტნიორებთან, რათა ადგილობრივ დონეზე მოახდინონ ამ საკითხებზე მუშაობის კოორდინაცია.

www.coe.int/congress-intercultural
congress.intercultural@coe.int
გამოქვეყნდა 2016 წლის მარტში

GEO

www.coe.int

ევროპის საბჭო ადამიანის უფლებათა წამყვანი ორგანიზაციაა კონტინეტზე. იგი შედგება 47 წევრი სახელმწიფოსაგან, რომელთაგან 28 ევროკავშირის წევრიცაა. ადგილობრივი და რეგიონული ხელისუფლების ორგანოთა კონგრესი არის ევროპის საბჭოს ინსტიტუცია, რომელიც პასუხისმგებელია ადგილობრივი და რეგიონული დემოკრატიის გაძლიერებაზე მის 47 წევრ სახელმწიფოში. კონგრესი შედგება ორი პალატისა - ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოთა პალატა და რეგიონების პალატა - და სამი კომიტეტისაგან. იგი აერთიანებს 648 არჩეულ ოფიციალურ პირს, რომლებიც 200 000-ზე მეტ ადგილობრივ თუ რეგიონულ ხელისუფლების ორგანოს წარმოადგენენ.

The Congress
Le Congrès

COUNCIL OF EUROPE
CONSEIL DE L'EUROPE